



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება №11/27

2017 წლის 21 აპრილი
ქალაქი ფოთი

**ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისათვის სესხის აღების თაობაზე
თანხმობის მიცემის და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ**

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს, მიმდინარე წლის დასაწყისში, წარმოეშვა ფინანსური სიძნელები. ბიუჯეტით დაგეგმილი საშემოსავლო ნაწილი ვერ სრულდება. ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ძირითად წყაროს წარმოადგენს ქონების გადასახადი, რომლის სავადო პერიოდი მიმდინარე წლის 15 ივნისი. შესაბამისად, შემოსავლები აღნიშნული პარამეტრით უმნიშვნელოა. ფიზიკურ პირთა და ინდ.მეწარმეთა საშემოსავლო გადასახადმა დღეისათვის შეადგინა 370.0 ათ. ლარი. სხვა მოსაკრებლებიდან შემოსავლები ვერ ფარავს ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯებს. მიმდინარე წლის 15 აპრილიდან 15 ივნისამდე ვალდებულებები შეადგენს 2 500.0 ათ. ლარს, ხოლო ამ პერიოდისათვის მოსალოდნელი შემოსავლები დაახლოებით - 800.0 ათ. ლარს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-100 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საქართველოს მთავრობის ნებართვით აიღოს სესხი/სასესხო ვალდებულებები იურიდიული პირებისაგან. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის სახელით და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინასწარი თანხმობით, სესხს იღებს და შესაბამის ხელშეკრულებას აფორმებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს (ირაკლი კაკულია) დააყენოს საკითხი საქართველოს მთავრობის წინაშე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტისათვის მიმდინარე ვალდებულებების დასაფინანსებლად უპროცენტო სესხის მიღების თაობაზე 1500.0 ათ. ლარის ოდენობით.

მუხლი 2.

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს (ირაკლი კაკულია) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელით ხელი მოაწეროს შესაბამის სასესხო ხელშეკრულებას 1500.0 ათ. ლარის ოდენობით.

მუხლი 3.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნული განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის №3).

მუხლი 4.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე თოფურია